

Impact of Gynecological Interventions on the Patient's Quality of Life

Ekaterine Isakidi¹ Otar Vasadze²

University of Georgia, School of Health Sciences

¹PhD(s), Public Health, Obstetrician-gynecologist, Head of Gynecological Ambulatory of the Clinic "Innova"; ²Department of Public Health, Associate professor, Supervisor

Resume

There is no doubt that the final goal of the doctor the patient is to maintain and improve the health or disease related quality of life. Taking this fact into consideration the attention is paid not only to the physical aspects of the disease but also about how the patients perceive their diseases. This is especially relevant for treatment of chronic and palliative patients; however, it does not lose its relevance in case of the simple diseases.

When the technology develops the opportunity of the health and life sciences development arise at every step that will support the patients to move forward, to improve quality of life, and it will give a specialized medical assistance to each patient's unique needs. In the health-oriented model the health quality becomes an important characteristic, which combines the individual's physical, psychological, emotional and social status.

The impact of gynecological interventions plays a major role in the patient's quality of life. The goal of this study is to determine the impact of hysterectomy on the patient's quality of life. Problematic aspects of this issue will be studied and analyzed in this regard that will further make a significant contribution to the improvement of treatment management.

Keywords: Quality of life; Gynecological procedures; Hysterectomy; individual ability; Integral characteristics

The problem of women's health has not only medical but also of great socio-demographic and economic importance. In modern conditions we see a significant increase in the number of gynecological diseases almost all age groups.

[К.А.Тониян, Д.Г. Арютин, 2017]

The study of the patient's quality of life after gy-

გინეკოლოგიური ჩარევების გავლენა, პაციენტების ცხოვრების ხარისხზე

ეკატერინე ისაკიდი¹ ოთარ ვასაძე²

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

¹დოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა; მეან-გინეკოლოგი, კლინიკა „ინოვა“-ს გინეკოლოგიური ამბულატორიის ხელმძღვანელი; ²საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი, ხელმძღვანელი

რეზიუმე

ექვგარეშეა, რომ ჯანმრთელობასთან ან დაავადებასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის შენარჩუნება ან გაუმჯობესება ექიმის და პაციენტის ურთიერთობის საბოლოო მიზანია. ამ ასპექტის გათვალისწინებით ექიმთა ყურადღება არის გამახვილებული არა მხოლოდ დაავადების ფიზიკურ ასპექტებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ პაციენტები თავიანთ დაავადებებს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქრონიკული და პალიატიური პაციენტების სამკურნალოდ, თუმცა არც შედარებით მარტივი დაავადებების შემთხვევაში კარგავს აქტუალობას.

ტექნოლოგიის განვითარებისას, ჯანმრთელობის მეცნიერებების განვითარების შესაძლებლობები ყოველ ნაბიჯზე წარმოიქმნება, რაც ხელს შეუწყობს პაციენტების წინსვლას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და თითოეული პაციენტის უნიკალურ საჭიროებაზე მორგებულ სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას. ჯანმრთელობის დაცვაზე ორიენტირებულ მოდელში, ჯანმრთელობის სუბიექტურ აღქმაზე დაფუძნებული ცხოვრების ხარისხი ხდება მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც აერთიანებს ინდივიდის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ემოციურ და სოციალურ მდგომარეობას. გინეკოლოგიური ჩარევების გავლენა, უდიდეს როლს ასრულებს პაციენტის ცხოვრების ხარისხზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს დადგინდეს, რა გავლენას ახდენს ჰისტეროექტომიული ჩარევა პაციენტის ცხოვრების ხარისხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით შესწავლილი და გაანალიზებული იქნება, საკითხის პრობლემური ასპექტები, რაც შემდგომში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მკურნალობის მენეჯმენტის გაუმჯობესების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების ხარისხი; გინეკოლოგიური ჩარევა; ჰისტერექტომია;

necological intervention is an important issue. Often, the quality of life is defined as an individual ability of functioning in the society (labor, social activity, family life) and as a complex of the individual personality physical, emotional, mental and intellectual characteristics [ა.კ. ხეთაგუროვა, 2003].

Regarding the medicine, the quality of life is an integral characteristics of the patient's physical, psychological, social and emotional status, which is assessed based on his subjective perception. [ა.ა. ნოვიკი, 2007]

Development of life concept related to healthcare expands interpretation and understanding of the term, which includes many aspects of the individual's life, it includes not only housing conditions, job satisfaction, learning, house and family environment, but also social, physical and psychological factors. [В.Ю., Альбицкий 2002]. Functional ability is characterized by daily activity, efforts to perform social functions, intellectual activity, emotional status and ability of economic support. Gynecological intervention has the greatest meaning for the development of a woman's further life, for both physical and psychological health. Gynecological intervention can be of various scales from small manipulations to operations carried out with vital indications. Gynecological intervention means a different measures carried out for different diseases of the female reproductive system for the purpose of their elimination. E.g. any type of intervention when cervical pathologies [J.Hersch, I.Juraskova, 2009] like cryodestruction of cervical ectropion, cervical conization, hysteroresectoscopy for the cervical or endometrium polyp, etc. In order to determine the quality of life of the patient after gynecological intervention the appropriate gynecological procedures should be studied, and the conclusions what is the impact of the gynecological intervention to the patient's quality of life should be made. There are diseases that may be cured by light manipulations, and there are a number of gynecological diseases, for treatment of which the surgical interventions are required in most cases. One of the method of gynecological intervention is a hysterectomy, which is a treatment method for many benign and malignant gynecological diseases. Symptoms: terine fibromyoma, leiomyoma, endometriosis, the uterus bleeding, prolapse of pelvic organs, malignant diseases and pre-cancer diseases, non-inflammatory diseases of the ovaries. [მ.ჯაფარიძე, 2018] More than 90% of the gynecologic surgery is carried out in

ინდივიდუალური უნარი; ინტეგრალური მახასიათებელი;

ქალის ჯანმრთელობის პრობლემა არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ დიდი სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხია. თანამედროვე პირობებში, გინეკოლოგიური დაავადებების მნიშვნელოვანი ზრდა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში შეიმჩნევა [К. А. Тониян, Д. Г. Арютин, 2017].

პაციენტის ცხოვრების ხარისხის კვლევა, გინეკოლოგიური ჩარევის შემდეგ, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ხშირად, ცხოვრების ხარისხი განისაზღვრება, როგორც საზოგადოებაში ფუნქციონირების ინდივიდუალური უნარი (შრომა, სოციალური, აქტივობა, ოჯახური ცხოვრება) და როგორც პიროვნების ფიზიკური, ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მახასიათებლების კომპლექსი [ა.კ.ხეთაგუროვა, 2003].

მედიცინასთან მიმართებით, ცხოვრების ხარისხი პაციენტის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და ემოციური მდგომარეობის ინტეგრალური მახასიათებელია, რომელიც მისი სუბიექტური აღქმის საფუძველზეა შეფასებული [ა. ა, ნოვიკი, 2007].

ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული კონცეფციის შემუშავება აფართოებს ტერმინის ინტერპრეტაციასა და გაგებას, რომელიც მოიცავს პირის ცხოვრების ბევრ ასპექტს, იგი მოიცავს არა მხოლოდ საცხოვრებელ პირობებს, სამუშაოთი კმაყოფილებას, სწავლას, სახლსა და ოჯახურ გარემოს, არამედ სოციალურ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. [В.Ю., Альбицкий 2002]. ფუნქციონალურ უნარს ახასიათებს ყოველდღიური აქტივობა, სოციალური ფუნქციის შესრულების ძალისხმევა, ინტელექტუალური აქტივობა, ემოციური სტატუსის და ეკონომიკური მხარდაჭერის უნარი.

გინეკოლოგიურ ჩარევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალის შემდგომი ცხოვრების განვითარებისათვის, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის. გინეკოლოგიური ჩარევა შეიძლება იყოს სხვადასხვა მასშტაბის, მცირე მანიპულაციიდან, სასიცოცხლო ჩვენებით ჩატარებულ ოპერაციამდე. გინეკოლოგიურ ჩარევაში იგულისხმება ქალის რეპროდუქციული სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს განხორციელებული ღონისძიებები დაავადებების აღმოფხვრის მიზნით. მაგალითად

severe symptoms and the goal is to improve the patient's health-related quality of life. Clinical studies show that the post-surgery period continues from several weeks to several months. During this period fatigue, energy impairment, tension increase among the patients, this period also includes daily household and other types of business routine difficulties that impacts the patient's quality of life. [F.M.Fennessy, C.Y.Kong, C.M.Tempany, 2011]. Social and economic results provide basis for improvement of the quality of life of the gynecology patients during the first weeks of the recovery after the surgery. There are global and specific subjective self-assessment tools to measure a parameters of the quality of life of the post-gynecologic surgery patients. In addition, there is a tool for quality of life, which combines both subjective self-assessment scales and biological parameters (hemoglobin, hematocrit and muscle strength objective measures). Jointly these different tools may be useful for measurement of recuperation and viability during the recovery of the patients, who are under the gynecological surgery. Hysterectomy is the most often performed surgery in gynecology. However, to date, there is no consensus among the surgeons regarding the optimal volume and availability of this operation. Dynamic of the number of hysterectomy is decreased in recent years due to the development and refinement of the treatment methods for a malignant as well as benign diseases [მ.ჯაფარიძე, 2020].

The action of the surgery impacts woman's future health. Excessive conservatism increases the risk of developing of neoplasia in the rest of the parts of the reproductive system [Я.В.Бохман, 1989]. The issue of cervical removal or preservation, which is considered in the light of oncological, urological and psychological position, is very important. Cervical pathology is at least 15% per cent of all gynecological diseases, and cervical cancer takes the second place in the structure of oncological incidence. [Г.Н.Минкина, 2004]. The assessment of the effectiveness of surgical treatment methods is mainly carried out according to the following criteria such as mortality, hospital stay length, existence of complications, laboratory and research instrumental methods' data. The functional parameters are important for determining the effectiveness of treatment methods and predicting the further outcome of the disease. Among these functional parameters, the study of integrative indicators of the quality of life is not less important. It should also be noted

საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების დროს ჩატარებული ნებისმიერი ოპერაცია [J. Hersch, I. Juraskova, 2009], როგორც არის საშვილოსნოს ყელის ექტროპიონოს კრიოდესტრუქცია, ყელის კონიზაცია, ჰისტერორეზექტოსკოპია ყელის ან ენდომეტრიუმის პოლიპის გამო და სხვა. იმისათვის, რომ დადგინდეს პაციენტის ცხოვრების ხარისხი გინეკოლოგიური ჩარევის შემდეგ შესწავლილ უნდა იქნას შესაბამისი გინეკოლოგიური პროცედურები, და მოხდეს დასკვნების გამოტანა რა გავლენას ახდენს გინეკოლოგიური ჩარევა პაციენტის ცხოვრების ხარისხზე. გვხვდება დაავადებები, რომელთა განკურნება მსუბუქი მანიპულაციების შედეგად შესაძლებელია, და ისეთი გინეკოლოგიური დაავადებები, რომელთა მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. გინეკოლოგიური ჩარევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ჰისტერექტომია, რომელიც განეკუთვნება მრავალი კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი გინეკოლოგიური დაავადების მკურნალობის მეთოდს. მისი ჩვენებებია: საშვილოსნოს ფიბრომიომა, ლეიომიომა, ენდომეტრიოზი, საშვილოსნოდან სისხლდენა, პროლაფსი მენჯის ღრუს ორგანოების, ავთვისებიანი და კიბოს წინარე დაავადებები, საკვერცხეების არაანთებითი დაავადებები [მ.ჯაფარიძე, 2018]. გინეკოლოგიური ქირურგიის 90%-ზე მეტი ხორციელდება მძიმე სიმპტომების პირობებში, ამგვარი ჩარევის მიზანია პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. კლინიკური კვლევებით დასტურდება, რომ ოპერაციის შემდეგი პერიოდი გრძელდება რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე. ამ პერიოდის განმავლობაში პაციენტები გრძნობენ დაღლილობას, ენერჯის დაქვეითებას, დაძაბულობის გაზრდას, ყოველდღიური საოჯახო და სხვა ტიპის საქმიანი რუტინების შესრულების სირთულეებს, რაც გავლენას ახდენს პაციენტის ცხოვრების ხარისხზე [F.M.Fennessy, CY, Kong, CM.Tempany, 2011]. გინეკოლოგიურ პაციენტთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება აღინიშნება ოპერაციის შემდგომ პირველ კვირებში პაციენტის გამოჯანმრთელობასთან ერთად, რაც საფუძველს უქმნის სოციალური და ეკონომიკური შედეგების მიღებას. ოპერაციის შემდგომი გინეკოლოგიური ქირურგიის პაციენტებში ცხოვრების ხარისხის პარამეტრების გასაზომად არსებობს გლობალური და სპეციფიკური სუბიექტური თვითშეფასების ინსტრუმენტები. გარდა ამისა, ცხოვრების ხარისხის ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს როგორც სუბიექტური თვითშეფასების მასშტაბებს, ასევე ბიოლოგიურ

that uterine extraction violates vaginal integrity, scars are formed, the autonomic innervation of the vagina proximal part is damaged and pelvic organs anatomy is changed. Women often consider themselves as bed sexual partners without uterus, after surgery they often afraid of complications during the sexual contact. [Кулаков В.И. 1990]. In any treatment process, it is important to improve the patient's condition in respect to all areas, which should be reached after completion of the treatment. [L.Cronin 1998]. The developed method of life quality study supports a deep and comprehensive analysis of the different aspects of functioning that allows to optimize management tactic and to implement the best methods of treatment of women with gynecological diseases. The women's quality of life after hysterectomy depends on the volume and availability of surgical interventions.

It is important to carry out analysis for some studies conducted after hysterectomy in connection with the study of the patient's quality of life. According to the study carried out in Thailand, in which 132 women participated, they were interviewed before and 6 weeks after the surgery. The questions touched a pelvic pain, depression, quality of life and sexual functions. According to the study women's life quality in Thailand was moderate and high after hysterectomy. It differed in reproductive age and postpartum age. Life quality level indicator after hysterectomy had more good results in young age women in comparison with elderly women [S.Bualuang, 2019]. It was also established that in women with higher educational level quality of life was higher than in women, who have low levels of education. The study proved that education and age are the most important factors after hysterectomy. The survey relied on the physical health sphere, psychological status, social relations and environment related areas.

This study explains the fact that hysterectomy can solve physical problem, such as chronic pelvic pain, disperse, hypermenorrhea or abnormal bleeding of uterus. When woman's physical health is improved, her psychological status, social relationships and relation with respect to the environment are also improved. [G.Bayram, N.Begi, 2010]

The results of this study can explain the fact that the young women still had a better physical health and environment than the older women. They perfectly perceived their physical strength, psychological state, social relations and environ-

პარამეტრებს (ჰემოგლობინის, ჰემატოკრიტისა და კუნთების სიმტკიცის ობიექტურ ზომებს). კოლექტიურად, სხვადასხვა ინსტრუმენტები შეიძლება სასარგებლო იყოს ძალის აღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასების დროს, პაციენტებში ოპერაციის შემდგომი გამოჯანმრთელების პერიოდში, რომლებსაც ჩუტარდათ გინეკოლოგიური ქირურგიული მკურნალობა. გინეკოლოგიაში ჰისტერექტომია ყველაზე ხშირად ჩატარებული ოპერაციაა. თუმცა, დღემდე, ქირურგებმა ვერ მიაღწიეს კონსენსუსს ამ ოპერაციის ჩატარების ოპტიმალურ მოცულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ბოლო წლებში ჰისტერექტომიის მაჩვენებელთა კლების დინამიკა შეინიშნება, რაც განპირობებულია, როგორც ავთვისებიანი ისე კეთილთვისებიანი დაავადებების მკურნალობის მეთოდების განვითარებითა და დახვეწით. [მ.ჯაფარიძე, 2020] ოპერაცია გავლენას ახდენს ქალის მომავალ ჯანმრთელობაზე. გადაჭარბებული კონსერვატიზმი ზრდის რეპროდუქციული სისტემის დანარჩენ ნაწილებში ნეოპლაზიების განვითარების რისკს [Я.В.Бохман, 1989]. საშვილოსნოს ყელის მოცილების ან შენარჩუნების საკითხი, რომელიც განიხილება ონკოლოგიური, უროლოგიური და ფსიქოლოგიური პოზიციიდან, ძალზედ მნიშვნელოვანია. საშვილოსნოს ყელის პათოლოგია შეადგენს ყველა გინეკოლოგიური დაავადების მინიმუმ 15%-ს, ხოლო საშვილოსნოს ყელის კიბო მეორე ადგილს იკავებს ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში [Г.Н.Минкина, 2004]. ქირურგიული მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის შეფასება ძირითადად ხორციელდება ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა სიკვდილიანობა, საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობა, გართულებების არსებობა, ლაბორატორიული და კვლევითი ინსტრუმენტული მეთოდების მონაცემები. ფუნქციური პარამეტრები მნიშვნელოვანია მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის დასადგენად და დაავადების შედეგების პროგნოზირებისთვის. ამ ფუნქციურ პარამეტრებს შორის, ცხოვრების ხარისხის ინტეგრაციული ინდიკატორების შესწავლას არ აქვს მცირე მნიშვნელობა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საშვილოსნოს ექსტრაქციის შემდეგ ირღვევა ვაგინალური მთლიანობა, იქმნება ნაწიბურები, ზიანდება საშოს პროქსიმალური ნაწილის ავტონომიური ინერვაცია და იცვლება მენჯის ღრუს ორგანოების ანატომია. საშვილოსნოს გარეშე ქალი, ხშირად, საკუთარ თავს დაქვემდებარებულ სექსუალურ

ment after the surgery. Based on the above-mentioned, we should note that during this type of intervention the changes of the patient's quality of life are based on the above-mentioned factors. It is also important to analyze next study, which also covers postoperative period after hysterectomy and quality of life, this study is interesting because sexual functioning is studied and that is an important component in terms of the women's psychoemotional and social status. 1249 women were interviewed during this study, the survey was carried out some time before the surgery and 3, 6, 12, 18 and 24 months after the surgery. Pelvic pain and depression levels sharply decrease after hysterectomy, a decrease in suffering was detected 24 months after surgery. This study established that women have significantly managed and restored all the functional elements such as social, psychological, and sexual functioning during the postoperative period [K.E.Hartmann, P.W.Langenberg, 2004]. 76-96 per cent of women undergoing hysterectomy are recovered or substantially improved during the post-treatment period, including pain. Based on this study we can make some conclusions in relation to the quality of life after the hysterectomy. A number of studies prove that during three months after the surgery the women feel themselves as missing a femininity, therefore, women's psychological assistance after surgery is very important, it makes an important contribution to the dimensions such as depression, inferiority complex feeling. Taking into consideration the psychological factors is an important part of the woman's quality of life, which has a construing impact to the women's social functioning and environment adaptation process. Therefore, the patient's quality of life depends on the gynecology intervention carried out and further complex approach, goal of which is recovery and improvement of the woman's quality of life.

Conclusions: The relevant analysis of the existing references proved that gynecological interventions have a significant impact on a woman's quality of life, namely it was established as a result of the studies carried out after hysterectomy, these studies prove that woman's quality of life significantly improves in postoperative period.

პარტნიორად მიიჩნევა, ქირურგიული ჩარევის შემდეგ ხშირად ემინია გართულებების სქესობრივი კავშირის დროს [Кулаков В.И. 1990]. ნებისმიერი მკურნალობის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს პაციენტის მდგომარეობა საქმიანობის ყველა სფეროში [L.Cronin 1998]. ცხოვრების ხარისხის შესწავლის შემუშავებული მეთოდები ხელს უწყობს ავადმყოფის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტების ღრმა და მრავალმხრივ ანალიზს, რაც მენჯემენტის ტაქტიკის ოპტიმიზაციისა და გინეკოლოგიური დაავადებების მქონე ქალთა მკურნალობის საუკეთესო მეთოდების განხორციელების იძლევა საშუალებას. ჰისტერექტომიის შემდეგ ქალთა ცხოვრების ხარისხი დამოკიდებულია ქირურგიული ჩარევის მოცულობასა და ხელმისაწვდომობაზე. მნიშვნელოვანია გავანალიზოთ რამდენიმე კვლევა, რომელიც ჩატარდა ჰისტერექტომიის შემდეგ, პაციენტების ცხოვრების ხარისხის შესასწავლად.

ტაილანდში ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც 132 ქალი მონაწილეობდა, გამოიკითხნენ ოპერაციამდე და ოპერაციიდან 6 კვირის შემდგომ პერიოდში. გამოიკითხვა შეეხებოდა მენჯის ტკივილს, დეპრესიას, ცხოვრების ხარისხსა და სექსუალურ ფუნქციებს. კვლევებით დადგინდა, რომ აღნიშნული კვლევის თანახმად ტაილანდელ ქალებში, ჰისტერექტომიის შემდეგ ცხოვრების ხარისხი ზომიერი და მაღალი იყო. იგი განსხვავდებოდა რეპროდუქციული ასაკისა და მშობიარობის შემდგომი ასაკის მიხედვით. ცხოვრების ხარისხის დონის მაჩვენებლები ჰისტერექტომიის შემდეგ, ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ასაკოვან ქალებთან შედარებით, ახალგაზრდებში შედარებით უკეთესი შედეგები დაფიქსირდა [S. Bualuang, 2019].

ასევე დადგინდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დონის მქონე ქალებში, ცხოვრების უფრო მაღალი ხარისხი გამოვლინდა, ვიდრე იმ ქალებში რომლებსაც განათლების დაბალი დონე აღმოაჩნდათ. კვლევით დადასტურდა, რომ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს განათლება და ხანდაზმული ასაკი, ჰისტერექტომიის შემდგომ, ცხოვრების ხარისხის შეფასების კუთხით. კვლევა ეყრდნობოდა ფიზიკური ჯანმრთელობის სფეროს, ფსიქოლოგიური სტატუსის, სოციალური ურთიერთობებისა და გარემოსთან დაკავშირებულ სფეროებს.

კვლევით იხსნება, რომ ჰისტერექტომიას შესწევს ფიზიკური პრობლემის გადაწყვეტის უნარი, როგორც არის მენჯის ქრონიკული ტკივილი,

References

1. მ. ჯაფარიძე, „ვაგინურიჰისტერექტომია, ოპტიმალური ქირურგიული მეთოდი მორბილული სიმსუქნით დაავადებული პაციენტებისთვის“, დისერტაცია, თბ. 2018.
 2. А. К. Хетагурова, „Паллиативная помощь, медико-социальные, организационные и этические принципы“, 2003.
 3. А. А. Новик, „Руководство по исследованию качества жизни в медицине“, Москва, 2007.
 4. В. Ю. Альбицкий, „К вопросу изучения воспроизводства здоровья населения“, М., 2002, Вып. 4, ч.1.
 5. В. И. Кулаков Оперативная гинекология. - М.: Медицина, 1990, с 464.
 6. Г. Н. Минкина, „Предраковые заболевания шейки матки: диагностика и лечение. Качество жизни“, Медицина, 2004-№3 (6).С.32- 34.
 7. К. А. Тониян, Д.Г. Арютин, „Репродуктивное здоровье женщин после хирургического лечения при острых гинекологических заболеваниях“, Москва, 2017, <https://www.mediasphera.ru/issues/rossijskij-vestnik-akusheraginekologa/2017/5/downloads/ru/1172661222017051018> (ბანახია:16.05.2020).
 8. K.E.Hartmann, P.W.Langenberg, „Quality of Life and Sexual Function After Hysterectomy in Women With Preoperative Pain and Depression“, (RESEARCH), 2004 Vol.104 –p.701-709.
 9. Я.В.Бохман, Руководство по онкогинекологии. Ленинград: Медицина, 1989, с.462.
 10. G.Bayram, N.Begi „Psychosocial adaptation and quality of life after hysterectomy. Sexuality and Disability“, 2010.28(1): 3-13.
 11. L.Cronin, G. Guyatt, L.Criffith, E.Wong, “Development of a Health-Related Quality of Life Questionnaire (PCOSQ) for women with polycystic ovary syndrome (PCOS)“, J. Clin.A Met.- 1998.
 12. N.Bahri, HR.Tohidinik, TF.Najafi, M.Larki, T.Amini, „Depression following hysterectomy and the influencing factors“, Iran, 2016.
 13. J.Hersch, I.Juraskova, „Psychosocial interventions and quality of life in gynecological cancer patients: A systematic review“, 2009; <https://www.researchgate.net/publica->
- დისპარეზია, ჰიპერმენორეა ან საშვილოსნოს არანორმალური სისხლდენა. როდესაც ქალის ფიზიკური ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, ასევე გაუმჯობესდა მისი ფსიქოლოგიური სტატუსი, სოციალური ურთიერთობები და გარემოსთან მიმართების საკითხი. [G.Bayram, N.Begi,2010] ამ კვლევის შედეგებიდან შეიძლება აიხსნას, რომ ახალგაზრდა ქალებს ჯერ კიდევ ჰქონდათ უკეთესი ფიზიკური ჯანმრთელობა და გარემო, ვიდრე ხანდაზმულ ქალებს. მათ კარგად აღიქვეს თავიანთი ფიზიკური ძალა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სოციალური ურთიერთობები და გარემო ოპერაციის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის ჩარევების დროს პაციენტის ცხოვრების ხარისხის ცვლილება, დაფუძნებულია ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე.
- მნიშვნელოვანია ასევე გაანალიზდეს შემდეგი კვლევა, რომელიც ასევე ჰისტერექტომიის შემდგომ პერიოდს და ცხოვრების ხარისხს შეეხება, ეს კვლევა საინტერესოა იმიტომ, რომ შესწავლილია სექსუალური ფუნქციონირებაც, რაც ქალის ფსიქოემოციური და სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის კუთხით მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კვლევისას გამოკითხულ იქნა 1249 ქალი, გამოკითხვა ჩატარდა ოპერაციამდე რამდენიმე ხნით ადრე და ოპერაციის შემდგომ 3, 6, 12, 18, და 24 თვის შემდეგ.
- ჰისტერექტომიის შემდგომ მენჯის ტკივილი და დეპრესიის დონე მკვეთრად კლებულობს, ტანჯვის შემცირება გამოვლენილ იქნა ოპერაციიდან 24 თვის შემდეგ. მოცემული კვლევით დგინდება, რომ ოპერაციის შემდგომ პერიოდში ქალებმა მნიშვნელოვნად შეძლეს ყველა იმ ფუნქციური ელემენტის სრულფასოვნად აღდგენა, როგორც არის სოციალური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ფუნქციონირება [K. E. Hartmann, P. W. Langenberg, 2004]. ქალების 76–96%, რომლებიც გადიან ჰისტერექტომიას, ინკურნება ან არსებითად უმჯობესდება მკურნალობის შემდგომ პერიოდში, მათ შორის ტკივილის ჩათვლით. არსებულ კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ, ჰისტერექტომიის შემდგომ ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით. მთელი რიგი ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ ოპერაციიდან სამი თვის განმავლობაში, ქალები თავს ქალურობა დაკარგულად გრძნობენ, აქედან გამომდინარე, ოპერაციის შემდგომ უნდა განხორციელდეს ქალთა ფსიქოლოგიური დახმარება, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ისეთ განზომილებებში, როგორც

- tion/23671703_Psychosocial_interventions_and_quality_of_life_in_gynaecological_cancer_patients_A_systematic_review (ნანახია:15.05.2020).
14. F.M.Fennessy, CY. Kong, CM.Tempany, JS.Swan, „Quality-of-life assessment of fibroid treatment options and outcomes“, Radiology. 2011. 259(3):785-792. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3099045/> (ნანახია:16.05.2020).
15. S.Bualuang, „Quality of Life in Thai Women after Hysterectomy“ Mahidol University, Thailand, 2019; <https://crimsonpublishers.com/cojnh/pdf/COJNH.000602.pdf> (ნანახია:15.05.2020).

ოპერაციის შემდეგ წარმოშობილი დეპრესიის განცდა, არასრულფასოვნების კომპლექსი. ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ქალის ცხოვრების ხარისხის იმ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მაკონსტრუირებელ გავლენას ახდენს ქალის სოციალურ ფუნქციონირებაზე და გარემო პირობებთან ადაპტაციის პროცესზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პაციენტის ცხოვრების ხარისხი დამოკიდებულია განხორციელებულ გინეკოლოგიურ ჩარევაზე და შემდგომ კომპლექსური მიდგომებზე, რომლის მიზანს ქალის ცხოვრების ხარისხის აღდგენა გაუმჯობესება წარმოადგენს.

დასკვნა: არსებულ ლიტერატურულ წყაროთა შესაბამისმა ანალიზმა დაადასტურა, რომ გინეკოლოგიური ჩარევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქალის ცხოვრების ხარისხზე, კერძოდ ეს გამოვლინდა ჰისტერექტომიის შემდგომ ჩატარებული კვლევების შესწავლის შედეგად, სადაც დასტურდება, რომ ოპერაციის შემდგომ მნიშვნელოვნად უმჯობესდება ქალის ცხოვრების ხარისხი.